პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

ქალაქი ბათუმი, ___ აგვისტო, 2024 წ

ქ. ბათუმში, ბაღის ქ. N10დ; ქ. N10ზ; ქ. N10ვ და ბაღის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. N05.34.25.745, N05.34.25.768, N22.21.01.050, N05.34.25.619) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული დასამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 41-ე და 43-ე მუხლების და საქართველოს მთავრობის 2019წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

ქ. ბათუმში, ბაღის ქ. N10დ; ქ. N10ზ; ქ. N10ვ და ბაღის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. N05.34.25.745, N05.34.25.768, N22.21.01.050, N05.34.25.619) დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმა, თანახმად დანართისა.

მუხლი 2

კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) კ 1/ 2 მაჩვენებლის 10 %-ის ოდენობით საცხოვრებელი ფართობის საბაზრო ღირებულების ოდენობის თანხით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით (მათ შორის სხვა ტერიტორიაზე საცხოვრებელი ფართების მუნიციპალიტეტისათვის გადაცემით).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

განმარტებითი ბარათი
პროექტის სახელწოდება და სათაური

ქ. ბათუმში, ბაღის ქ. N10დ; ქ. N10ზ; ქ. N10ვ და ბაღის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. N 05.34.25.745, N05.34.25.768, N22.21.01.050,N 05.34.25.619) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ
ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:
ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმში, ბაღის ქ. N10დ; ქ. N10ზ; ქ. N10ვ, ბაღის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. N 05.34.25.745, N05.34.25.768, N22.21.01.050,N 05.34.25.619) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე დადგენილების მიღება.

განმცხადებელია შპს ,,ქეიპ 23'' (ს/N445705390) ქ. ბათუმში, ბაღის ქ. N10დ; ქ. N10ზ; ქ. N10ვ, ბაღის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე: (ს.კ. N 05.34.25.745, N05.34.25.768, N22.21.01.050,N 05.34.25.619) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცება; განაშენიანების დეტალური გეგმა შემუშავდა ქალაქ ბათუმში, ბაღის ქუჩა N10ზ--ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკ.კოდ: 05.34.25.745) სამშენებლოდ განვითარების მიზნით. დაგეგმვის ობიექტს წარმოადგენს გეგმარებითი ერთეული, რომელიც მოიცავს მიწის ნაკვეთებს საკადასტრო კოდებით: 05.34.25.745, 05.34.25.768, 22.21.01.050, 05.34.25.619; გეგმარებითი ერთეულის ფართობი შეადგენს 6340 კვ.მ-ს, ხოლო საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობია - 2460,00 კვ.მ-ს.

საპროექტო ტერიტორიაზე დადგენილია სიმაღლის 15 მეტრიანი შეზღუდვა, მოთხოვნილია სიმაღლის გადამეტება 55 მეტრომდე. წარმოადგენს საკურორტო სარეკრეაციო ზონას.

პროექტით დაგეგმილია სასტუმროს დანიშნულების მრავალსართულიანი შენობის განთავსება, რომელშიც განთავსდება საზოგადოებრივი დანიშნულების ფართები, ასევე ავტოსადგომები მიწისზედა და მიწისქვეშა სართულებში. დაგეგმილია სათანადო ინფრასტრუქტურის, შიდა გზების, დასასვენებელი ადგილებისა და გამწვანების მოწყობა.
ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვრებ„ტერიტორიების გამოყენების და
განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“ მიხედვით და დაზუსტდება
ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის დამუშვების შედეგად.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში): პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსი **გ. წანაწყენიშვილი**